მწვანე ალტერნატივა

გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

შენიშვნები და კომენტარები
სს „არ ემ ჯი კოპერის“
მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოზე
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროექტის
ექსპლუატაციის პირობების შეცვლის
(მოპოვების ადგილის/კარიერის ზედაპირის ფართობის ცვლილებების)
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე

14 ივლისი, 2026

წარმოგიდგენთ შენიშვნებს 2026 წლის 30 ივნისს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე გამოქვეყნებულ სს „არ ემ ჯი კოპერის“ მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროექტის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის (მოპოვების ადგილის/კარიერის ზედაპირის ფართობის ცვლილებების) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშზე.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის მიერ წარმოდგენილ დაზუსტებულ/დამატებით დოკუმენტაციაში მწვანე ალტერნატივას მიერ წარმოდგენილი შენიშვნების უმეტესობა კვლავაც აქტუალურია.

1. დანაწევრებული საქმიანობა

კომპანია ვერ უარყოფს საქმიანობის დანაწევრების ფაქტს. დანართი 4-ში ვკითხულობთ, რომ მუშევანი 2-ის საბადოს ოქრო-სპილენძის მცირესულფიდური მადნების საექსპლუატაციო მარაგები დამტკიცებულია სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 24 მარტის N201/ს ბრძანებით. მარაგების ანგარიშში მითითებულ ≈7 ჰა ფარგლებში დაგეგმილია დამუშავების პროექტით განსაზღვრული სამთო სამუშაოები (წიაღისეულის მოპოვება).

უკვე რამდენიმე წელია სახეზეა პროექტის ეტაპობრივი „დანაწილება“ სალიცენზიო ფართობის(187 823.59 ჰა) შვილობილ კომპანიებზე და მცირე კონტურებად (ჯერ 11.27 ჰა, შემდეგ 0.77 ჰა, ახლა კი დამატებით 7 ჰა) ფრაგმენტაცია. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია მიუთითებს 2026 წლის მარტის ბრძანებაზე, გზშ ანგარიშში კვლავ არ არის წარმოდგენილი ერთიანი, კუმულაციური ხედვა მთელ სალიცენზიო ფართობზე. ეს მიდგომა მიზნად ისახავს გარემოზე სრული ნეგატიური გავლენის მასშტაბის ხელოვნურად შემცირებას და საზოგადოებრივი პროტესტის თავიდან არიდებას.

2. ალტერნატივების ანალიზი

ნულოვანი ალტერნატივა კვლავ ფორმალურად არის განხილული და თავიდანვე უარყოფილია. კომპანია ამტკიცებს, რომ ნულოვანი ალტერნატივა (საქმიანობაზე უარი) გამოიწვევს ლიცენზიის პირობების დარღვევას და დაჯარიმებას. მსჯელობა, თითქოს ნულოვანი ალტერნატივის არჩევა შეუძლებელია ლიცენზიის პირობების გამო, სამართლებრივად აბსურდულია. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის პროცესი დამოუკიდებელი სამართლებრივი მექანიზმია. ლიცენზიის ფლობა არ ნიშნავს გარემოსდაცვითი ნებართვის ავტომატურ გარანტიას. გზშ-ის არსი სწორედ

greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფომ შეიძლება უარი თქვას პროექტის დაშვებაზე, თუ ზიანი აჭარბებს სარგებელს.

რაც შეეხება ტექნოლოგიურ ალტერნატივებს დანართ 4-ში ნათქვამია, რომ რადგან მადანი ზედაპირთან ახლოსაა (3-10 მ), ღია კარიერულ მეთოდს ალტერნატივა არ გააჩნია. გარემოსდაცვითი სერვისების დანაკარგის შეფასებისას კი მხოლოდ ტყის რესურსის კარგვას თვლის შეუქცევადად. კომპანიამ მხოლოდ ღია კარიერული წესისა და ე.წ. „კოდალას“ აპარატის შედარება წარმოადგინა. არ განხილულა თანამედროვე, ნაკლებად ხმაურიანი, თუნდაც ბურღვა-აფეთქების თანამედროვე ვარიანტები.

ეკონომიკური ზარალის გაანგარიშებისას მხოლოდ ტყის მერქნული რესურსის დაკარგვის გათვალისწინება უკიდურესად არასრულია. კომპანიას საერთოდ არ შეუფასებია ნიადაგის დეგრადაციის, ჰაერის ხარისხის გაუარესების, მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწების პროდუქტიულობის შემცირებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესების გრძელვადიანი ეკონომიკური ხარჯები.

3. ბიომრავალფეროვნების კვლევა

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია „მექანიკური შეცდომის გასწორებაზე“ მიუთითებს, ანგარიშში კვლავ პრობლემად რჩება კვლევების სეზონურობა. წარმოდგენილი არ არის სრული სეზონური ციკლის (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი) მონაცემები, რაც აუცილებელია მიგრირებადი ან სეზონურად აქტიური სახეობების დასაფიქსირებლად.

4. ზემოქმედება მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე

კომპანია აცხადებს, რომ გაფართოება ხდება ჩრდილო-აღმოსავლეთით, ხოლო საძოვარი მდელო არის სამხრეთ-დასავლეთით, შესაბამისად პროექტით გათვალისწინებული ტერიტორია შემხებლობაში არ არის საძოვრებთან. ასევე მიუთითებენ ააიპ „მუშევანის განვითარებასთან“ გაფორმებულ განახლებულ მემორანდუმზე და 8500-ლარიან ყოველთვიურ დახმარებაზე.

კომპანიის არგუმენტი, რომ გაფართოების არეალი ფიზიკურად არ კვეთს საძოვარს, ზედაპირულია. მათ არ გაუთვალისწინებიათ ირიბი ზემოქმედება. კარიერის გაფართოების სამუშაოები პირდაპირ აბინძურებს მიმდებარე სამხრეთ-დასავლეთით არსებულ მდელოს მძიმე მეტალებით და საწარმოო მტვრით. შესაბამისად, პირუტყვი შეჭამს დაბინძურებულ ბალახს, რაც საფრთხეს უქმნის ადგილობრივი კვების პროდუქტების უსაფრთხოებას. საწარმოო ტერიტორიის შემოღობვა ამცირებს მხოლოდ ფიზიკური შეღწევის რისკს, მაგრამ ვერ აჩერებს ქარის მიერ მტვრის გადატანას. ყოველთვიური ფინანსური ანაზღაურება (8500 ლარი) კი წარმოადგენს ქველმოქმედების მცდელობას და არა რეალურ გარემოსდაცვით შემარბილებელ ღონისძიებას.

5. ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები

ჩვენი შენიშვნის საპასუხოდ, კომპანია ვრცლად საუბრობს დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოებაზე, სპეც-ტანსაცმელზე, სამედიცინო პუნქტსა და დაზღვევაზე. მოსახლეობაზე საუბრისას კი აღნიშნავს, რომ წელიწადში იქნება 55 აფეთქება (კვირაში 1-2) და მონიტორინგი განხორციელდება 500-მეტრიან რადიუსში.

ჩვენი შენიშვნა ეხებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკებს, კომპანიამ კი პასუხის უმეტესი ნაწილი საკუთარი პერსონალის ეკიპირების აღწერას დაუთმო.

6. კუმულაციური ზემოქმედება

მე-4 დანართში ვკითხულობთ, რომ მთავრობის N417 დადგენილება კომპანიას ავალდებულებს კუმულაციური ეფექტი შეაფასონ მხოლოდ 500-მეტრიან ნორმირებულ საზღვარში და არა მთელ რეგიონში. ვინაიდან 500 მეტრში სხვა ობიექტი არ არის, კუმულაციურ ეფექტად მხოლოდ ხე-ტყის გაჩეხვა მიიჩნიეს.

ეს არის კანონმდებლობისა და გზშ-ის პრინციპებით მანიპულაცია. 500 მეტრი არის კონკრეტული ობიექტის სანიტარიულ-დაცვითი ზონა და არა კუმულაციური ანალიზის გეოგრაფიული საზღვარი. ბოლნისი-კაზრეთის რეგიონი დატვირთულია მრავალი სამთო-მოპოვებითი ობიექტით. კომპანიამ უნდა შეაფასოს, თუ როგორ ემატება მათი კარიერიდან გაფრქვეული მტვერი რეგიონში უკვე არსებულ ისედაც მაღალ ფონურ დაბინძურებას. კუმულაციური ეფექტის მხოლოდ ხე-ტყის ჭრამდე დაყვანა აბათილებს ამ თავის არსს.

7. რეკულტივაციის გეგმა

რეკულტივაციის ვადებთან დაკავშირებით მე-4 დანართში ვკითხულობთ, რომ სამუშაოების დასრულება დამოკიდებულია მარაგების ამოწურვაზე (საორიენტაციოდ 2031 წლამდე, ან ლიცენზიის ბოლომდე - 2041 წლამდე).

კომპანია ცდილობს თავი აარიდოს ეტაპობრივად (პარალელური) რეკულტივაციის ვალდებულებას. მიდგომა, რომ რეკულტივაცია დაიწყება მთლიანი ლიცენზიის ვადის ამოწურვისას (შესაძლოა 2041 წელს), ნიშნავს, რომ ათწლეულების განმავლობაში ტერიტორია დატოვებული იქნება ღია სახით, რაც გამოიწვევს მინიმუმ გარემოს მტვრით მუდმივ დაბინძურებას.

8. საქმიანობის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის ჩართულობა

როგორც ჩვენი შენიშვნების საპასუხოდ ვკითხულობთ, სკოპინგის ეტაპზე საჯარო განხილვა ჩატარდა სინქრონული თარგმანით. ასევე, რადგან ახალი დადგენილებით (N417), ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გზშ ანგარიშის განხილვა საერთოდ არ ითვალისწინებს საჯარო განხილვის ჩატარებას. ამის სანაცვლოდ, კომპანიამ გამართა სამუშაო შეხვედრა საინიციატივო ჯგუფთან 2026 წლის აპრილში.

თავად კომპანია ადასტურებს, რომ სკოპინგის ეტაპის შემდეგ, ფართო საზოგადოებრივი განხილვა არ ჩატარებულა. მცირე საინიციატივო ჯგუფთან გამართული დახურული შეხვედრა ვერ ჩაითვლება 900-კაციანი, ენის ბარიერის მქონე სოფლის სრულფასოვან ინფორმირებად. კვლავ ენის ბარიერისა და წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, მემორანდუმზე რამდენიმე ადამიანის ხელით შესრულებული ხელმომწერების სია სააგენტომ არ უნდა განიხილოს მოსახლეობის ინფორმირების მტკიცებულებად. აქვე, როგორც თავად კომპანია უთითებს, 2022 წლიდან დღემდე სოფელი კვლავ მოკლებულია ისეთ მნიშვნელოვან სერვისებს როგორიცაა წყალმომარაგება, საგზაო ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვა, განათლება და სხვა. მემორანდუმის ფარგლებში მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური ფონის გაუმჯობესების მიზნით გათვალისწინებულია აღნიშნული პროექტების დაფინანსება. 900-ზე მეტი მოსახლით სოფლის საჭიროებებისათვის ყოველთვიურად 8500 ლარის გამოყოფა კომპანიის მხრიდან არ შეიძლება ჩაითვალოს სოციალური ზემოქმედების შემსუბუქების მცდელობად და უნდა ვივარაუდოთ, რომ სათანადო ინფორმირების შემთხვევაში მემორანდუმს არ ექნებოდა სოფლის მოსახლეობის მხარდაჭერა.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევთ, რომ წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში კვლავ საჭიროებს დახვეწას და კომპანიის მიერ, ჩვენს შენიშვნებზე გაცემული პასუხები ვერ აბათილებს წამოჭრილ რისკებს.